სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N18-07-115
CPV - 71351914 - არქეოლოგიური მომსახურებები

ქ. თბილისი

02 ივლისი 2018 წ.

ერთი მხრივ სსიპ - „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო" (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი სააგენტოს გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **დავით ლომიტაშვილის** სახით და მეორე მხრივ **ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი"** (ს/კ 404384974) (შემდგომში- „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ბაიდარაშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის საფუძველი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია „მიმწოდებლის" მიერ „შემსყიდველისთვის" **ქ. თბილისში, გუდიაშვილის მოედნისა და მიმდებარე არეალზე** მიმდინარე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების პროცესში არქეოლოგური მეთვალყურეობის განხორციელება შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, ახოსპირელის პირველი ჩიხი N3, N2-4, N1/6, ახოსპირელის მესამე ჩიხი N1/2, N1/3, ახოსპირელის ქუჩა N4, N7, ლერმონტოვის ქუჩა N2 და გუდიაშვილის ქუჩა N7/2, გია აბესაძის ქუჩა N21/ბ, კუფტინის ქუჩა N14, გია აბესაძის ქუჩა N23, გუდიაშვილის ქუჩა N2, აბო თბილელის N3/8 და აბო თბილელის N3.

1.2. შესყიდვის საფუძველი: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის N444 განკარგულება და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 20 თებერვლის N535 განკარგულება ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდისთვის" სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე SMP180000478.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წლის 31 დეკემბრის №2/393 ბრძანების (2016 წლის 8 ივლისის №2/194 ცლილების) შესაბამისად, არქეოლოგის მეთვალყურეობის მომსახურების ღირებულება შეადგენს ერთ სამუშაო დღეში 50 (ორმოცდაათი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ამ ხელშეკრულების დადებიდან 2018 წლის პირველ სექტემბრამდე განახორციელოს ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებულ მისამართებზე მიმდინარე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების პროცესში არქეოლოგიური მეთვალყურეობა.

ბ) „შემსყიდველს" გადასცეს ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები ტერიტორიაზე განსახორციელებელი სამუშაოების შემდგომი გადაწყვეტის შესახებ.

3.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შემსრულებლის შეუფერხებელი დაშვება საკვლევ ტერიტორაზე, ასევე მოთხოვნის შესაბამისად წარუდგინოს მას დამატებითი დოკუმენტაცია.

ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისთვის სრულყოფილად აუნაზღაუროს შემსრულებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

3.3. მიმწოდებლის მხრიდან ამ მუხლის 3.1 პუნქტში მითითებულ სამუშაოებს შეასრულებს სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქეოლოგიის სამსახურის შტატგარეშე თანამშრომელი თამარ ნინიაშვილი.

4. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორების წესი და პირობები

4.1 მომსახურება დასრულებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების

ხელმოწერით. სააგენტოს მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს ამ ხელშეკრულების 3.3. პუნქტში მითითებული პირი.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა-უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

4.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

4.4 სამშენებლო-სარეაბილიტაციო არეალში არსებულ ობიექტებზე არქეოლოგიური მეთვალყურეობა განხორციელდება ინსპექტირების საფუძველზე, არანაკლებ თვეში ერთხელ მომზადებული და წარმოდგენილი ანგარიშის სახით.

4.5 წინამდებარე ხელშეკრულების 4.4 პუნქტში მითითებულ ანგარიშში ასახულ უნდა იქნეს, ინსპექტირების განხორციელების სამუშაო დღეების რაოდენობა განვლილ პერიოდზე, რაც წარმოადგენს ანგარიშსწორების საფუძველს.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

5.1 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადების გადაცილების ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, შემსრულებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დარჩენილი შესასრულებელი სამუშაოს 0.1%-ის ოდენობით.

5.2 წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში დამკვეთს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

6.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავების გადაწყვეტა

7.1 მხარეები პასუხისმგებელნი არიან საკუთარი ვალდებულებების შესრულებაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

7.3 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, ასევე თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 (ათი) დღით ადრე.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 01 ოქტომბრის ჩათვლით.

10.ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
10.2 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი გადაცემათ მხარეებს.

„მიმწოდებელი“	„შემსყიდველი“
სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	ა(ა)იპ - თბილისის განვითარების ფონდი
მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის №5	მის: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების N48
სახელმწიფო ხაზინა	
კოდი: TRESGE22	ს/კოდი: 404384974
ა/ა № GE24NB0330100200165022	
ს/კოდი: 204562311	
_____	_____
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი დავით ლომიტაშვილი	დირექტორი გიორგი ბაიდარაშვილი